ჩემი დედოფალა

მე მყავს ციცნა დედოფალა,
სულ პაწია, პაწაწკუნა,
აგერ მიმაქვს მასთან ჩაი,
ვეჭობ, თუ არ დამიწუნა.
არ გეგონოთ გენაცვალეთ,
რომა მყავდეს ავზნიანი,
რა ვქნა, უყვარს კუკნას ჩაი
ხან ურძეო, ხან რძიანი.
თუ რომ სუფთად არ ჩავაყვი,
არ მისვენებს სული, გული,
ახლაც უნდა დავურეცხო
ჩემს კოპწიას თეთრეული.
გავწურო და საჩქაროზე
გაბმულ თოკზე გადავფინო,
სარეცხს ცუგო მოუყენო
და მე სახლში შევირბინო.
რომ შევუდგე საჭმლის ხარშვას,
როგორც კარგი მზარეული:
მომიშივდეს, რას იფიქრებს
შინაური, გარეული?!
სადილს მოვრჩი. ახლა უნდა
ვასეირნო გრილო-გრილო;
სადაც ჩერო დაილევა,
სამზეურით მოვუჩრდილნ.
საღამოზე იჟევ ჩაით
ყელი ჩაუკოკლოზინო:
გავხადო და ტკბილის ნანით
სარეცელში ჩავაწვინო.
თქვენ გგონიათ, ამით მოვრჩი?
არ მოგიკვდეთ ჩემი თავი!
ახლა უნდა ლამპის შუქზე
ვკერო მისი საკერავი.

დაფლეთილს ხომ არ ვატარებ,
არც მოხდება, არც იქნება!
ერთი სიტყვით, დღე და ღამე
სულ არა მაქვს მოსვენება!

1903 წ.